პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1978 წ.
№ 19 (6084) 26 იანვარი ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მწვავე პოზიციაში

გუშინწინ ბად-კისინგენში (გფრ) შედგა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ა. კუშნირის ფინალური მატჩის II პარტია. თეთრებით თამაშობდა თბილისელი მოჭადრაკე.

მეტოქეებმა ესპანური პარტია გათამაშეს. მე-3 სვლაზე კუშნირმა აირჩია თითქმის მივიწყებული ბერლის დაცვა. ეს გაგრძელება თეთრებს მცირე უპირატესობას აძლევს, სამაგიეროდ შავები ცენტრში დარტყმით კონტრთამაშს ამზადებენ. მაგრამ კუშნირმა ვერ გაანსორციელა სდებიუტო იდეა, რადგან შისმა მეფემ დასაწყისშივე დაკარგა როქის უფლება. თანდათან (მე-14 სვლისთვის) ჩიბურდანიძის პოზიციური უპირატესობა გამოიკვეთა.

ალბათ ეერიშზე ფიქრობდა კუშნირი, როცა ცენტრი პაიკი აამოძრავა, მაგრამ ჩიბურდანიძემ თამაშის სიმძიმე ცენტრში გადაიტანა. პოზიცია უკიდურესად დაიძაბა.

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ქართველმა დიდოსტატმა გაცვალა თითო კუ და ლახიერები და თამაში ოდნავ უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა.

ენდშპილის თამაში მოჭადრაკის ოსტატობის დონის საზომია. ბოლო დროს ჩიბურდანიძე ჩინებულად თამაშობს დაბოლოებებს, რაც გაზეთმა „პრავდამაც“ აღნიშნა. ამჯერადაც ნორჩმა პრეტენდენტმა ენდშპილი კარგად წარმართა.

ჩიბურდანიძემ ჯერ ცენტრი დაიპყრო, მერე მეტოქის ბანაში სუსტი პაიკი შექმნა და მასზე თავდასხმის ორგანიზაციას შეუდგა. კუშნირი კარგა ხანს იცავდა ამ პაიკს, ბოლოს იგი ცენტრალურ პაიკზე გაცვალა და ჩიბურდანიძის ეტლი შაების ბანლავებაში შეიჭრა.

პარტიის მიწურულს, 38-ე სვლაზე კუშნირმა არაზუსტად თამაშა და პაიკში მხედარი დათმო. სწორედ აქ თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა. პარტია გადიდო ქართველი მოჭადრაკისთვის მატერიალური უპირატესობით, მაგრამ მწვავე პოზიციაში.

მეორე პარტია

ჩიბურდანიძე — კუშნირი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. ♘f3 ♘c6 3. ♗b5 ♘d4 4. ♘:d4 ed 5. 0—0 ♗c5 6. ♕g4 ♘f8 7. d3 c6 8. ♗a4 d6 9. ♕e2 ♕h4 10. g3 ♕g4 11. f3 ♗d7 12. ♗d2 ♔e8 13. ♗e1 ♕e7 14. ♗f2 h5 15. c3 ♕f6 16. cd ♗:d4 17. ♗:d4 ♕:d4+ 18. ♕f2 ♕:f2+ 19. ♔:f2 ♗e6 20. ♗:e6 fe 21. ♘c3 ♘f6 22. ♖c1 ♘e7 23. d4 ♘d7 24. ♔e2 ♖hf8 25. d5 ♘e5 26. de ♘:e6 27. ♖d1 ♖d8 28. ♔f2 g6 29. f4 ♘g4 30. ♔f3 ♖d7 31. ♖df1 ♖df7 32. ♘e2 ♘gd7 33. h3 ♘h6 34. ♖d1 ♘gc7 35. ♖fd3 ♔e8 36. ♔:d6 ♔:e4 37. ♘g3 ♔e:f4 38. ♔:g6 h4 39. ♘h5 ♖b4 40. ♔:h6 ♔:b2. პარტია გადადო.

41-ე სვლა ჩიბურდანიძემ ჩაიწერა. ამ პარტიის დამთავრება გუშინ საღამოს მოეწყო.

დღეს, 26 იანვარს გაიმართება III პარტია. შავებით ჩიბურდანიძე თამაშობს.

პირველი სტარტები მძლეოსნურ მანქანში

ამ ზამთრის „სპორტის დედოფლის“ მოყვარულებს აუწყა, რომ საქართველოს მოზარდთა პირველობას 20-21 იანვარს თბილისის მანეჟი უმასპინძლებდა...

ახდა რესპუბლიკის ათასობით მძლეოსნის დიდი ხნის ოცნება — მწყობრში ჩადგა დახურული სარბიელი. მართლაც, მის ნახვას არაფერი სჯობს — მანეჟის დირექციას ძალ-ღონე არ დაუშურებია კარგი მასპინძლობისთვის: დროშებითა და ტრანსპარანტებით მორთული საასპარეზო, ერთდროულად რამდენიმე სექტორში, სარბენ ბილიკებზე გაჩაღებული ტურნირი, აივნებზე საკმარ რაოდენობით შეკრებილი გულშემატკივრების ყიჟინა ადამიანს სიამით ავსებდა. კარგა ხანია არ გვინახავს ასე ორგანიზებული, საინტერესო შეჯიბრება მძლეოსნობაში.

მანეჟის სარბენი ბილიკებისა და სექტორების მოწყობაში, ვერაგების დახრილობის გაანგარიშებასა და სხვა სამუშაოების შესრულებაში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ბ. დიაჩკოვს**. იგი ახლაც იქ ტრიალებდა, ტკბებოდა მოზარდების შემართებით, სისწრაფითა და მოქნილობით.

— მანეჟს ნორმალური საასპარეზო პირობების შექმნაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ცენტრალური ველოდრომის დირექციაც დიდად დაეხმარა, — გვიხსნის მანეჟის დირექტორი **დ. ყორყოლიანი**, — მათი ზრუნვის შედეგიცაა, რომ ტურნირს თითქმის არაფერი აკლია, ეს აღჭურველობა ნებისმიერ „სტაეან“ ნაგებობას შეშურდება...

...მაგრამ ჩვენი ყურადღება სპორტულ ფორმაში გამოწყობილმა სიცივისგან გალურჯებულმა ბიჭებმა და გოგონებმა, შეფუთულმა მსაჯებმა მიიპყრეს. ახსნა-განმარტება არავისთვის გვაკითხავს, ვინაიდან თვითონვე ვიგრძენით, რომ აქ, მანეჟში უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ, იმ დღეებში კი თბილისში ტემპერატურა საკმაოდ დაბალი იყო.

— შედეგებს არ ვემდურით, მოზარდებმა იანვრის სტარტებისთვის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები მოიპოვეს, მაგრამ, ეფიქრობ, ისინი უფრო მაღალი იქნებოდა, მანეჟი რომ ხშირად იყოს — განმარტავს შეჯიბრების მთავარი მსაჯი **ო. ლაკერბაია**.

„ლელო“ არაერთგზის წერდა მანეჟის გაჭიანურებული მშენებლობის შესახებ — იმაზე, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „თბილმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის სამშენებლო სამმართველომ ბაზის საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები მრავალჯერ დაარღვია. სწორედ მოიჯარის გულგრილობის ბრალია, რომ მანეჟს გათბობა არა აქვს, უამისოდ კი, განსაკუთრებით ზამთარში, მისი ფასი საგრძნობლად ეცემა. სწორედ ამ მიზეზით მანეჟში არც ცხელი წყალია და, მაშასადამე, არც სამხაპები მუშაობს.

— მშენებლებმა ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. მათ ხარვეზებს საკუთარი ძალებით გზადაგზა ვასწორებთ, — გვეუბება ყორყოლიანი, — სპორტკომბინატის დირექტორის **ვ. ბარკალაიას** ზრუნვით თითქმის დავამთავრეთ დარბაზში განათების სისტემის რეკონსტრუქცია, არც სხვა საზრუნავს შეეშინდებით, გათბობის შეღება კი ჩვენს ძალებს აშკარად აღემატება...

— არც ვიცით საბოლოოდ ეს საკითხი როდის გადაწყდება, არადა, მანეჟი ახლა განსაკუთრებით გვჭირდება, მოსწავლეთა საკავშირო და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადებისთვის ჩვენი მძლეოსნების მზადების საქმეში ამ ნაგებობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — ამბობს საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების უფროსი **ე. გაგუა**.

ახლა ყველამ იცის, რომ მანეჟის გათბობის მოუწესრიგებლობის მიზეზი რამდენიმე ასეული მეტრი სათანადო დიამეტრის მილების უქონლობა ყოფილა. ეფიქრობთ, სირცხვილია ამაზე ლაპარაკი, ვიდრე ბაზიდან თუ გული გულობს, ჩვენს რესპუბლიკაში მილების შოვნა არ უნდა გაჭირდეს.

შეჯიბრების მონაწილეებს რომ ჰკითხოთ, ასეთი ნაგებობით მეტად კმაყოფილი არიან, მაგრამ არც იმას მალავენ, რომ ეს საჩუქარი მაინცდამაინც მაღლს ჰგავს: მანეჟში სიცივის გამო სტარტის წინ მოსათელად გასვლის სურვილი თითქმის არავის აქვს, მოუთელავად ასპარეზობას კი ბუნებრივ ტრავმები მოსდევს.

ახლა შეჯიბრების შესახებ. ასპარეზობაში 12 გუნდი უნდა გამოსულიყო, ტურნირს მხოლოდ თელაველებმა აარიდეს თავი. სტარტზე

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათებზე: 110 მეტრზე მთარჯმნებში შეჯიბრების მომენტი; 800 მეტრზე გოგონების ერთ-ერთი გარბენი.

ე. ხუცურაულის ფოტოები.





სროლა

თბილისელი — გდრ-ის ჩემპიონი

22-26 თებერვალს ლაიფციგში გაიმართება გერმანიის ოლიმპიური ნატი ანეშა ირასკი. ამ სანატრელ სტარტამდე ყველაზე ენერგიულად ემზადებიან — ეწყობა ეროვნული პირველობები, საერთაშორისო შეხვედრები. ერთი ასეთი შეჯიბრება ამ დღეებში დემსინგში გაიმართა. ეს გახლდათ გდრ-ის დიდი ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

თბილისელმა ბ. კოკორევმა (მწვრთნელი თ. ლეკიშვილი) პნევმატური პისტოლეტის სროლაში 386 ქულა მოაგროვა, თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა და გდრ-ის ჩემპიონი გახდა.

მეორე დღეს აქვე მოეწყო საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის სპორტსმენების მონაწილეობით. კოკორევმა შესაშური სტაბილურობა გამოავლინა, ისევ 386 ქულა მოაგროვა და აქაც I ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მან ამ წარმატებას ძირითადად ბოლო სერიაში მიაღწია, როცა 100-იდან ერთი ქულაც არ დაუკარგავს.

ხელბურთი

კაუნასში ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე გააგრძელეს გამარჯვებათა სერია სსრ კავშირის ჩემპიონებმა — კიევის სპარტაკელებმა. მორიგ ტურში მათ გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს მესამე ადგილზე მყოფ კაუნასის „ჟალგირისს“ — 38:14. კიელელთა მთავარ მეტოქეს მათ ბაქოელ თანაკლუბელებს გაუჭირდათ როსტოვის „როსტსელმაშის“ დამარცხება — 17:13.

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „ლუჩი“ (მოსკოვი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 22:18, „უპი (სვერდლოვსკი) — „ავგლი“ (ვილნიუსი) 23:17, „დინამო“ (კიშინიოვი) — „მეტალურგი“ (ბროვარი) 21:20, „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „კოლოსი“ (ბერეგოვო) 20:16.

მძლეოსნობა

„სპარტაკის“ იუნიორთა წარმატება

დონეცკში ჩატარდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ზამთრის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში იუნიორთა შორის. საქართველოს კოლექტივი გამოდიოდა მეორე ჯგუფში, სადაც ძალებს სცდიდნენ, აგრეთვე, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა პირველობა მოიპოვეს. პირად ტურნირში ნ. ველი-ოღლიმ (მწვრთნელი ე. ლომთაძე) 400 მეტრზე რბენა მოიგო, გოგონათა შორის ბირთვის კვრაში III ადგილი დაიკავა დ. ქინჭარაულმა (მწვრთნელი ყ. საბანაშვილი).

საქართველოს გუნდმა უფლება მოიპოვა გაისად პირველი ჯგუფის კოლექტივებში იასპარეზოს.

ნ. გაგოშიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჩემპიონის ვაჟიც ჩემპიონობს

ახლახან თბილისში, ფალავანთა კლუბში ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდაოთა პირად-გუნდური საქალაქო პირველობა ახალგაზრდებს შორის.

ამ ასპარეზობის შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **გ. როსტიაშვილი:**

— პირველ რიგში, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა გუნდური პირველობის შესახებ, სადაც სპარტაკელებმა დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. მეორე იყო „შრომითი რეზერვების“, ხოლო მესამე — „ბურევესტნიკის“ ნაკრები. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სამმა სპორტსაზოგადოებამ გამოიყვანა სრული გუნდი. რაც შეეხება „დინამოსა“ და „განთიადს“, ისინი არასრული გუნდებით ჩაებნენ ბრძოლაში. „ლოკომოტივმა“ კი საერთოდ თავი აარიდა შეჯიბრებას. კვლავ განიცდით პერსპექტიული მოჭიდაოების ნაკლებობას 48 და 52 კგ წონის კატეგორიებში. ის კი არადა, 52 კგ წონის მოჭიდაოეთა შეჯიბრებაში სულ სამად-სამი ფალავანი ჩაება. ცხადია, III ადგილი არავის მიეკუთვნა. ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ სხვადასხვა სპორტსაზოგადოებათა მწვრთნელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. წლების განმავლობაში ისინი ვერ ახერხებენ რესპუბლიკის ჯაბუკთა თუ ახალგაზრდული ნაკრები კოლექტივებისთვის თითო-ოროლა პერსპექტიული მოჭიდავის აღზრდასაც კი. ბევრი მათგანი შეჯიბრებებზეც არ დადის, არ მონაწილეობს თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკურ თუ საქალაქო ფედერაციების მიერ დასახულ ღონისძიებებში, მოყვანა კი ჩვენს ძალებს აშკარად აღემატება...

ახლა შეჯიბრების შესახებ. ასპარეზობაში 12 გუნდი უნდა გამოსულიყო, ტურნირს მხოლოდ თელაველებმა აარიდეს თავი. სტარტზე მსაჯთა კოლეგიის საქმიანობაში. გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენს დედაქალაქში ჩატარებული საკავშირო და საერთაშორისო ხასიათის ასპარეზობები, სადაც ისინი ყოველგვარი წინასწარი შესწენების გარეშე ცხადდებიან. ვფიქრობთ, დადგა დრო, რომ თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ თავის უახლოეს სხდომებზე პერიოდულად მოისმინოს ასეთი მწვრთნელების ანგარიში და განიხილოს მათი საქმიანობა.

განვლილი ასპარეზობიდან პერსპექტიულ სპორტსმენთა შორის დავასახელებდი მსოფლიო ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. სხირტლაძის 16 წლის ვაჟს კ. სხირტლაძეს („სპარტაკი“), რომელმაც 7 შეხვედრიდან ექვსი წმინდად და ერთიც ქულებით მოიგო. ექვსი შერკინება ვადაზე ადრე დაამთავრა გ. თხელიძემ („ბურევესტნიკი“). 5-5 შერკინებაში წმინდად გაიმარჯვეს გ. სახლთუცეშვილმა („სპარტაკი“) და მ. ფირუზაშვილმა („დინამო“). სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა, აგრეთვე, ჩვენი ქვეყნის II ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონმა ნ. ბეკურაშვილმა („სპარტაკი“).

წონითი კატეგორიების მიხედვით თბილისის ჩემპიონები გახდნენ: ზ. ტატუაშვილი („დინამო“), გ. ელბაქიძე, გ. სახლთუცეშვილი (ორივე — „სპარტაკი“), მ. ფირუზაშვილი („დინამო“), კ. სხირტლაძე („სპარტაკი“), გ. თხელიძე („ბურევესტნიკი“), ი. ლაპიაშვილი („ბურევესტნიკი“), გ. ელოშვილი („შრომითი რეზერვები“), ო. ებანოიძე („ბურევესტნიკი“), ნ. ბეკურაშვილი („სპარტაკი“).

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა თბილისის ნაკრები, რომელიც თებერვალს პირველ რიცხვებში რუსთავში, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას.

შ. ქორიძე.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდებაის...

საქმე, რომელიც დახანებას არ ითმენს

ბავშვთა ფიზკულტურა და სპორტი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემაა, რომლის სრულფასოვნად გადასაწყვეტად ბევრი ორგანიზაცია, როგორც საზოგადოებრივი, ასევე სასკოლო და სპორტული დაწესებულება ზრუნავს. გარკვეული დროის მანძილზე ეს საკითხი, ცოტა არ იყოს, ნაკლები ყურადღებით იყო გარემოსილი, ვიდრე მნიშვნელობითა და მასშტაბით იგი ამას იმსახურებდა. პირველი შემაშფოთებელი სიგნალები მოგვაწოდეს თავად პედაგოგებმა, მშობლებმა და მეცნიერებმა. აღმოჩნდა, რომ ურბანიზებულ ეპოქაში, როცა ყოველი ოჯახის ცხოვრებაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს საყოფაცხოვრებო კომფორტი, ადამიანი გადაეჩვია მოძრაობას და ყოველი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეზარება. დიახ, ჩვენ შევეჩვიეთ ლიფტებსა და ესკალატორებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტითა და მსუბუქი მანქანებით მგზავრობას, მაგრამ დავკარგეთ მოძრაობის მოთხოვნილება და ხალისი. თითქმის არ არის ადამიანი, რომელიც თუ დღისით არა, საღამოობით მაინც არ უხდიდეს თავისებურ ხარკს ტელევიზორს. იგი ლამის სასიცოცხლო სულიერ მოთხოვნილებად იქცა. როცა ვამბობთ ხარკს უხდითო, ვგულისხმობთ უმოძრაოდ ყოფნას. ტელევიზორი და რბილი სავარძელი ტიპიურ სურათად იქცა ჩვენს ცხოვრებაში. ჯერჯერობით ზუსტად არავის გამოუთვლია, რა ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას უმოძრაო ცხოვრების წესი, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი მეტად და მეტად საზიანოა. ტექნიკურ პროგრესს, ურბანიზაციის პროცესს, ჩვენი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის ამაღლებას ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ხომ შეიძლება ეს კეთილი, სასარგებლო პროცესი ბოლომდე კეთილისმყოფლად ვაქციოთ თითოეული ჩვენგანისთვის. აი, როდის შეიძლება გავგიწყოს უდიდესი სამსახური ფიზკულტურამ და სპორტმა, აი, როდის გვჭირდება უსწრაფესი დახმარება, სპორტი — ეს მხოლოდ მოდუნებული კუნთების წვრთნა-ვარჯიში არ არის, იგი მწვანე მინდორიცაა და სუფთა ჰაერიც, ესთეტიკური ტკბობის საშუალებაც და ფსიქიკურ-ნებელობითი წრთობაც.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მოზარდ თაობას შეეხება. ნორჩების სხეული თოთო ნერგს ჰგავს, რომელიც მზისკენ იშვერს ტოტებს და გამუქმებით იზრდება. თუ მოზარდი არ მოძრაობს, არ თამაშობს, ფიზიკური ვარჯიშისკენ არ იღტვის, იგი ვერ მიაღწევს იმ სულიერ-ფიზიკურ სრულყოფასა და ჰარმონიას, რომელსაც ჰომნს უმღეროდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები. იგი სრულფასოვნად ვერ აუწყობს ფეხს ჩვენი ეპოქის მძლავრ რიტმს, სისუსტითა და უღონოებით დაჩაგრული ვერც საზოგადოებრივ მოვალეობას გაუძღვება. ზემოთ ვთქვით, შემაშფოთებელ სიგნალებზე. ამ სიგნალებმა სათანადო შემოწმების შემდეგ იმაზე უარსიარულო სურათი დაგვისახა, ვიდრე ვფიქრობდით. რესპუბლიკის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმოძრაობის და ფიზიკური ვარჯიშის უგულვებელყოფის გამო დაავადებულია „პროფესიული" ავადმყოფობებით. ზოგს ხერხემლის გამრუდება აღმოაჩნდა, ზოგს გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ბევრი კატასტროფულად მატულობს წონაში... ვფიქრობთ, საჭირო არ არის კონკრეტული ციფრების დასახელება, ეს ყველა მშობელმა, პედაგოგმა, ფიზკულტურის სპეციალისტმა იცის. არ იფიქროთ, თითქოს ყოველივე ეს მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკისთვის იყოს დამახასიათებელი. ამ სამწუხარო, დასაღონებელი და თავსამტვრევი პრობლემის სირთულის მიხედვით ბევრად ჩამოვრჩებით საერთო საკავშირო მაჩვენებელს, მაგრამ ეს მომენტი ოდნავადაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს, რადგანაც არ არსებობს უფრო მაღალი, ჰუმანური და უპირველესი მიზანი, ვიდრე ჩვენი ნორჩი თაობის კეთილდღეობა და ჯანმრთელობის გაკაჟებაა.

როგორც მოგახსენეთ, ამჟამად ამ პრობლემის გადაწყვეტა მთელი საზოგადოებრიობის საფიქრელი და საზრუნავია. ვერც იმას ვიტყვით, თითქოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო სხვა სათანადო ორგანოებთან ურთიერთკავშირში არ ფიქრობდეს ნორჩი თაობის ფიზკულტურულ სიმრთელეზე. პირიქით, ბოლო წლებში სასკოლო ფიზკულტურისა და სპორტულ-გამჯანსაღებელი მუშაობის დარგში სასიამოვნო ძვრები შეინიშნება. ყოველივე ეს მეტად საყურადღებოა იმას, რომ სკოლა თითოეული მოსწავლისთვის თავისებური დასვენებისა და გაჯანსაღების ოაზისად იქცეს. დიახ, სკოლა არ დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას; იგი იყო და დარჩება ცოდნის ტაძრად, მაგრამ ამ ტაძარს შუქნათელს დაადგამს სისხლსავსე სპორტული ცხოვრება, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს ყველა მიხვდა და აღიარა, რომ ჩვენს დროში ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე არც მოსწავლეთა სრულფასოვან ჯანმრთელობაზე ლაპარაკი შეიძლება, და არც სასწავლო პროცესის ეფექტიანობას დაადგება კარგი დღე. ოდესღაც დაჩაგრული, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, მესამხარისხოვან სასწავლო დისციპლინამდე დაქვეითებული სასკოლო ფიზკულტურა კვლავ იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს და ჩვენი ნორჩების ერთგული მოკავშირე ხდება. ასე გასინჯეთ, ფიზკულტურის გაკვეთილს საშინაო დავალებაც კი გაუჩნდა, ესე იგი მოზარდი გაკვეთილს აღარ დასჯერდება და შინ დაბრუნების შემდეგაც დამოუკიდებლად გააგრძელებს ფიზკულტურის გაკვეთილზე ნასწავლი ვარჯიშების დახვეწას, ვიდრე მკვიდრად არ დაეუფლება და შეისისხლხორცებს. სასარგებლო სიახლეა თუ არა? ვფიქრობ, ამაზე პასუხის გაცემა საჭიროც არ არის, ყველაფერი ისედაც ნათელია. ჰოდა, ასეთი სასარგებლო სიახლეები, რომლებსაც განათლების სამინისტრო ნერგავს სკოლებში ფიზკულტურული მუშაობის. გამოსაცოცხლებლად და გასავითარებლად, გაგიხარიათ, საკმაოდ ბევრია. მარტო ის რად ღირს, რომ 1977 წლის სექტემბრიდან რესპუბლიკის სკოლებში შემოიღეს ეგრეთ წოდებული დიდი დასვენება, რომელიც ისევ და ისევ მოზარდი თაობის გალაღებას და გაჯანსაღებას მოხმარდება. თანაც, ეს არის არა სტიქიურ-იმპროვიზებული, არამედ გეგმაზომიერი, გააზრებული, სისტემურად ჩამოყალიბებული ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი დასვენება. ყოველდღიურად, ნავე ვერ ჩაუნერგა ფიზკულტურისა და სპორტის სიყვარული. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის". სამწუხაროდ, ბევრი ყმაწვილისა და მოზარდის სულს თავიდანვე ცხოვლად არ დაეჩნდა. ფიზკულტურისადმი, ანუ ჯანმრთელობის წრთობისკენ მისწრაფება. ამან სავალალო შედეგები გამოიღო. მოზარდ თაობას ჯერ გაუნელდა ფიზკულტურის სიყვარული, მერე უინტერესო გაკვეთილების გამო ბევრმა ზურგიც კი უბრუნა მას. ამას მოჰყა ფიზკულტურის მასწავლებლის პრესტიჟის დევალვაცია საზოგადოებრიობის თვალში. მასწავლებელი, რომელიც თავისი გაკვეთილით ვერ დაეინტერესებს, ვერ მიიზიდავს აღსაზრდელს, ბუნებრივია, ავტორიტეტსაც ჰკარგავს. დღევანდელი ყმაწვილი კოლოსალურ ინფორმაციას ღებულობს, წინა თაობებისგან განსხვავებით იგი უფრო განათლებულია, ამიტომ მასწავლებლის ამოცანა შეუდარებლად გართულდა. იგი დროის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, ხოლო პირველ რიგში უნდა ერკვეოდეს თანამედროვე მოზარდის ფსიქოლოგიაში. გარკვეულ პერიოდში ფიზკულტურის მასწავლებელმა ვერ შეძლო ახალი მოთხოვნების სიმაღლეზე ასვლა, მისი აუდიტორია კი თვალსაჩინოდ შეიცვალა — იგი უფრო მომთხოვნი გახდა. ამან გამოიწვია თავისებური შეუსაბამობა, რომელმაც საგრძნობლად იმოქმედა ჯერ სასკოლო ფიზკულტურისა და სპორტის დონეზე, ხოლო შემდგომ მეოლიც ფიზიკური აღზრდის დარგმა უნდა მოიცვას. განა სპორტი თავისი ბუნებით არ გულისხმობს ისეთ თვისებებს, როგორიცაა კეთილშობილება, პატიოსნება, დასახული მიზნისკენ შეუნელებელი სწრაფვა, მტკიცე და უდრეკი ხასიათი, ამტანობა, გამტანობა, მეგობრობა, ჭირთათმენა, ბოროტებასთან, უსამართლობასთან ბრძოლა და შეურიგებლობა... ამ თვისებებს ნერგავს ფიზკულტურა და სპორტი მოზარდებში, აწრთობს და აკაჟებს მას, სრულფასოვან და ღირსეულ მოქალაქედ აყალიბებს. ერთი სიტყვით, ჩვენი დარგი ჩინებული სკოლაა, სადაც ჯანმრთელობისა და რეკორდების გარდა ეგრეთ წოდებულ კარგი ტონის გაკვეთილებს ღებულობენ და მორალურ-ესთეტიკურ ჰარმონიას ეზიარებიან. რა თქმა უნდა, ამ პროცესს, მოზარდის სულიერი და ფიზიკური სრულყოფის პროცესს, მარტოოდენ ფიზკულტურის მასწავლებელი ვერ გაწვდება, იმდენად რთულია და თვალშეუდგამი ეს სარბიელი. ამიტომაც ვამბობთ, რომ ფიზიკური კულტურის ხელმძღვანელობა თითოეული ჩვენგანის, მათ შორის, პირველ რიგში მშობლებისა და სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივის წმიდათაწმიდა ვალია. სკოლაში დირექტორი და ფიზკულტურის მასწავლებელი მაშინ ააწყობენ საქმიანობას ფიზკულტურის დანერგვა-განვითარებისთვის, როცა ფართო საზოგადოებრიობის აქტიური, ყოველმხრივ და ეფექტიან მხარდაჭერას იგრძნობენ, როცა დარწმუნდებიან, რომ მათი საქმე საერთო-სახალხო საქმეა.

აი, ბევრს ვლაპარაკობთ ფიზკულტურის მასწავლებელზე, როგორც ამ დარგის ცენტრალურ ფიგურაზე, მაგრამ კმაყოფილი არა ვართ, რბილად რომ ვთქვათ, მისი კვალიფიკაციით, ცოდნით, უნარით, ხშირ შემთხვევაში, საქმისადმი დამოკიდებულებით და მოწყდინებლობით. მონდომებასა და ენთუზიაზმს კიდევ რაღაც ეშველება, მაგრამ რა ვუყოთ მასწავლებლის პროფესიონალიზმს, რომელიც ან სრულებით, ანდა ნაწილობრივ გვაკმაყოფილებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ფიზკულტურის მასწავლებელი თავისი მუშაობით მხოლოდ მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის არ იღვწის, იგი დიდ სპორტს საიმედო კადრებსაც უნდა აწვდიდეს. ყველამ იცის, რომ ნებისმიერმა სპორტსმენმა, დიდი თუ საშუალო მონაცემების არის იგი, ჯერ ფიზკულტურას „გაუგო გემო" და მერე ეზიარა დიდ სპორტს. ფიზკულტურელი და სპორტსმენი თავისუფალ დროს სასარგებლოდ გამოიყენებს, გაუფრთხილდება, ქუჩაში უქმად ყიალს არ მოპყვება და ღობე-ყორეს არ მოუდება. საიდუმლო არ არის, რომ მოზარდთა და მცირეწლოვანთა დანაშაულობანი ოჯახის, სკოლის, საზოგადებრიობის სატკივარია. რა თქმა უნდა, ფიზკულტურა და სპორტი ამ მხრივ უნივერსალური მალამო არ არის, მაგრამ შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს დანაშაულობათა პროფილაქტიკასა და აღკვეთას, ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვის საგრძნობ შემცირებას. არ მინდა წერილმა „კრიმინალური" მიმართულება მიიღოს და საქმე ისე წარმოვადგინო, თითქოს მოზარდთა დანაშაულობასთან ბრძოლა ფიზკულტურისა და სპორტის უპირველესი საგანი იყოს. ეს ერთ-ერთი მხარეა იმ უდიდესი სარბიელისა, რომელსაც ფიზკულტურა და სპორტი მთლიანად ჩვენს სპორტულ მოძრაობაზე, რადგანაც სწორედ სკოლაა დიდი სპორტის სამჭედლო, მისი უპირველესი მაცოცხლებელი წყარო.

ამ პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა მშობლების უსწორო პოზიციამაც. ფიზკულტურის საგანში ჯერ არავის ჰქონია საშემოდგომო გამოცდა, მით უმეტეს ამ მიზეზით არავინ დატოვებიათ კლასში. ამ „პრაგმატიზმმა" იმდენად სპორტი და ფიზკულტურა არ დააზარალა, რამდენადაც მოსწავლეთა ჯანმრთელობა. სამწუხაროდ, ამ აზრმა მკვიდრად ვერ მოიკიდა ფეხი ბევრი მშობლის ცნობიერებაში. ზოგიერთი მათგანი არ დაუფიქრებია იმასაც, რომ ფიზკულტურა და სპორტი მარტოოდენ ჯანმრთელობის გაკაჟებისა და ხალისის დაუშრეტელი წყარო არ არის. იგი ფართო სოციალური მოვლენაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მტკივნეულ, საჭირბოროტო პრობლემის გადაჭრას უკავშირდება

დასასრული

პირველი სტარტები მძლეოსნურ მანეჟში

1961-62 წლებში დაბადებული მოწაფეები ცდიდნენ ძალას, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის სტარტებში საქართველოს სპორტული ღირსების დაცვა მოუხდებათ, მაგრამ მანეჟში გამართული ტურნირის ძირითადი მიზანი მაინც სხვა იყო — უძლიერესთა შერჩევა ნაკრებისთვის, რომელიც 11-12 თებერვალს ლენინგრადში საკავშირო ასპარეზობაში გამოვა.

ორდღიან პირველობაში 230-მდე მკლეოსანი ცდიდა ძალას (ზოგიერთ სახეობაში ასპარეზობა ლენინის სახელობის სტადიონის მანეჟში გაიმართა). იყო იმედის მომცემი შედეგები, მაგალითად, აფხაზეთის გუნდის წევრმა ო. ვიქტოროვამ 60 მეტრზე რბენაში, თბილისელმა ა. ნერსესიანმა სამხტომში და კიდევ რამდენიმე სპორტსმენმა პირველი თანრიგის შედეგები აჩვენეს. ნერსესიანმა (მწვრთნელი ა. ანტონოვი) სამუალო ასაკის მოსწავლეთა რესპუბლიკური რეკორდი გაუთანაბრა (თბილისი, 3363 ქულა) და ლ. შალიგინა (რუსთავი, 3222) ბევრს გვპირდებიან, თარჯიმორბენილი დ. კალაძეც (რუსთავი) უდავოდ ნიჭიერია. საერთოდ, რუსთაველმა მწვრთნელმა ვ. ფიოდოროვმა ამ ასაკის მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებს 3 წევრი მოუმზადა.

უნდა აღვნიშნოთ გ. თალაკვაძის ნაყოფიერი მუშაობაც. ერთი წელია იგი სამუშაოდ ფოთიდან წყალტუბოში გადავიდა და უკვე ბევრის გაკეთება მოასწრო — II ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში მისმა აღზრდილებმა III ადგილის დაკავება შეძლეს. მაშასადამე წყალტუბოს რაიონშიც ყოფილან ახალგაზრდები, რომლებიც კარგი მწვრთნელის დახმარებით მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს.

გოგონები. რბენა. 60 მ. ო. ვიქტოროვა (აფხაზეთი) — 7,7; **100 მ.** მ. აზარაშვილი (თბილისი) — 12,7; **400 მ.** შ. ონაშვილი — 1.03,3; **800 მ.** ლ. წინწალაშვილი (ორიგე — თბილისი, პირადი) — 2.32,0; **1500 მ.** მ. ჯიოევა (სამხრეთ ოსეთი) — 5.11,2; **3000 მ.** ლ. პანჩუკი (რუსთავი) — 13.30,6; **თარჯრბენი. 60 მ.** და **100 მ.** ა. მინასიანი (აფხაზეთი) — 10,2 და 17,5; **სიგრძეზე ხტომა.** ე. ლეპინა (მახარაძე) — 506; **სიმაღლეზე ხტომა.** მ. ქურდაძე (თბილისი) — 15,5; **ბირთვის კვრა.** ჯ. ქილიფთარი (მახარაძე) — 10,82; **ხუთჭიდი.** ო. ვერშინინა (თბილისი) — 3363.

ბიჭები. რბენა. 60 მ. ვ. ლისკოვი (პირადი) — 7,0; **100 მ.** ვ. თოფურიძე (ორიგე — თბილისი) — 11,5; **400 მ.** კ. მაჩაიძე — 56,1; **800 მ.** გ. ხოშტარია (ორიგე — თბილისი, პირადი) — 2.06,6; **1500 მ.** მ. მელკუეველი (ქუთაისი) — 4.25,8; **3000 მ.** ვ. კოჩიევი (ქუთაისი) — 9.42,2; სამხრეთ ოსეთი) — [illegible]. **რბენი. 60 მ.** ო. წიკოური (თბილისი, პირადი) — 8,8; **110 მ.** დ. კალაძე (რუსთავი) — 16,4; **5 კმ სპორტული სიარული.** ი. ცირეტაშვილი — 25.45,5; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ჩადუნელი — 679; **სიმაღლეზე ხტომა.** დ. კუკანოვი — 185; **სამხტომი.** ა. ნერსესიანი — 14,98; **ჯოკით ხტომა.** ა ხალინი — 390; **ბირთვის კვრა.** ვ. საბანაძე — 14,37; **ხუთჭიდი.** ჯ. კესოშვილი (ყველა — თბილისი) — 3919 ქულა.

გუნდური შეჯეგები. I ჯგუფი. თბილისი — 295 ქულა; აფხაზეთი — 203; აჭარა — 180; ქუთაისი — 159; სამხრეთ ოსეთი — 104. **II ჯგუფი.** რუსთავი — 127,5 ქულა; მახარაძე — 126,5; წყალტუბო — 122,5; ფოთი — 101,5; გორი — 45; ჰიათურა — 38.

ო. გელაშვილი.

ელექტრონული ვერსია

ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი შეხვდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ა. ჭკუასელს და სთხოვა მას თავისი შეხედულებები გამოეთქვა როგორც წარსული სეზონის შედეგებზე, ისე წინამდებარე წლის გეგმებზე.

წლის საფეხბურთო სეზონი ძალიან საინტერესო იყო. ზამთრის პირველ ნახევარში ჩატარდა ჭაბუკთა ტურნირები ბათუმში, ზოხუმსა და გაგრაში, ნორჩთა ტურნირება მინი-ფეხბურთში ტყიბულში, ხოლო წლის ბოლოს, 24 დეკემბერს თბილისში ფინიში ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური სპარტაკიადის გათამაშებას, ე. ი. ფეხბურთის მთელი წლის მანძილზე ვთამაშობდით.

დასაწყისი, ჩვენი მუშაობის საფუძველი მასობრივი ფეხბურთია, ურომლისაც წარმოუდგენელია მაღალი ოსტატობის ფეხბურთის განვითარება, მაგრამ საუბარი უნდა დავიწყოთ ოსტატობის გუნდების გამოსვლებით, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ჩვენს საფეხბურთო სახეს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, ე. ი. ქართული ფეხბურთის განვითარების ავ-კარგი ნათლად განისაზღვრება მათი თამაშით.

ამ კავშირის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში ჩვენი რესპუბლიკიდან, როგორც ვიცით, თბილისის „დინამო“, პირველ ლიგაში ქუთაისის ტორპედო“ მონაწილეობდნენ. ამ გუნდების შედეგებზე, წარმატებებსა და მარცხებზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ, ვფიქრობ, ახალს ვეღარაფერს ვეტყვით ფეხბურთის მოყვარულებს, ამიტომ დღეს მათი შედეგებისადმი ანალიზს აღარ შევუდგებით.

ამჯერად მეორე ლიგაში ჩვენი რესპუბლიკიდან 7 კოლექტივი მონაწილეობდა. წინა სეზონში ლანჩხუთის „ტორპედო“ თავისი ზონის გამარჯვებული იყო და პირველ ლიგაში გადასვლის პერსპექტივაც ჰქონდა. გუნდის მონაწილეობაში ბევრი საინტერესო და სასიამოვნო მომენტი იყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, სეზონის ბოლოს „გურიამ“ პოზიციები და საბოლოოდ პირველ ადგილიდან მეოთხეზე გადაინაცვლა. როგორც ჩანს, კოლექტივში ერთიანობა დღეს მოთამაშეთა ნაკლებობაზე დგას, რასაც დროებით მაინც ვერაფერი უშველის. სათანადო ყურადღება არ მიაქცია სათანადო ხელმძღვანელობამ.

ზონაში მე-7 ადგილი დაიკავეს ზუგდიდის ფინამოელებმა. რაც შეეხება ქუთაისის „ტორპედოს“ თანაკლასელებს, წინა სეზონში შედარებით გაუარესეს შედეგი, მე-6 ადგილიდან მეცხრეზე გადავიდნენ. შედეგი, რა თქმა უნდა, არ აკმაყოფილებდეს არც თვით გუნდს და არც რესპუბლიკის ამ ძლიერ საზოგადოებრიობას.

ამ ზონაში მე-5 ადგილზე მყოფი ფოთის „ტორპედო“ ამჯერად მთელი სეზონის მანძილზე „ბეწვზე კიდია“ და მხოლოდ მეცხრე ადგილის შეცვლა თავი დააღწია მეორე ლიგაში დაკავების საშიშროებას, დაკავებული მე-13 ადგილს ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩავთვლით დამაკმაყოფილებლად. გუნდში საჭიროა განმტკიცება და საყოფაცხოვრებო სათამაშო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება (ფოთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ბევრი მწვრთნელის საქმიანობაშია), რაც კიდევ ერთხელ გაჰყოლინდა ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელთა აქტივაციის დროს. ასეთი მწვრთნელები, სამწუხაროდ, საკმაოზე მეტი გვყავს, ისინი საგრძნობლად ამცირებენ მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. მათ მეტი უნდა იმუშაონ საკუთარ თავზე, გაიღრმონ აუცილებელი ცოდნა, ურომლისოდაც ვერაფერს შესძენენ ფეხბურთის განვითარებას.

გასულ სეზონში გაიმართა ბავშვთა და ჭაბუკთა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ზოგიერთ მათგანზე უკვე გვქონდა საუბარი. ამის გარდა ჩატარდა ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა (საკავშირო პირველობის ზონა), „სიჭაბუკის“ თასის გათამაშება, მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, შეჯიბრება „ტყავის ბურთის“ პრიზზე, ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა და სხვ. ამ ღონისძიებებში გამარჯვებულთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ბავშვთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ძირითადი ამოცანაა არა გამარჯვებულთა გამოვლენა, არამედ პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდების ძიება, რომლებიც ახლო მომავალში შეავსებენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვან კოლექტივებს. აი ამას უნდა მიაქციონ ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელებმა მთავარი ყურადღება, ამ მიმართებით წარმართონ თავიანთი საქმიანობა.

საქართველოს სპორტკომიტეტმა დაამტკიცა ფეხბურთის სამმართველოს წინადადება რესპუბლიკური პირველობის ჩატარების შესახებ 15-16 წლის ჭაბუკთა გუნდებისთვის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის ყველა იმ ქალაქისა და რაიონის გუნდი, სადაც მოზრდილთა გუნდები ჰყავთ საქართველოს პირველობის პირველ და მეორე ჯგუფებში, ავრეთვე, გააჩნიათ ჯგუფები ბავშვთა სპორტსკოლებში. ხოლო ორგანიზაციებს, რომლებსაც გუნდები არა ჰყავთ რესპუბლიკის პირველობაზე, 17-18 წლის ჭაბუკთა შორის ნებას დავრთავთ თავიანთ გუნდებში 15-16-წლიანებთან ერთად ჰყავდეთ 17 წლის ასაკის 5 მოთამაშე. ამ შეჯიბრების ჩატარება საშუალებას მოგვცემს შეჯიბრებაში მაქსიმალურად ჩავაბათ ყველა ქალაქი და რაიონი, რათა შეუმჩნეველი არ დარჩეს კარგი მოთამაშის მქონე, ნიჭიერი ჭაბუკი, რაც დიდ სამსახურს გაუწევს რეზერვებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეს.

საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამაში წლევანდელ პირველად იყო შეტანილი ფეხბურთი. უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი ნაყოფიერი წვრთნისა და წარმატებით გამოსვლისთვის, მაგრამ დაკავებული VII ადგილი კარგს არაფერს ლაპარაკობს ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა V ადგილი დაიკავა. შედეგი, რა თქმა უნდა, არც სავანგაშოა და ამავე დროს არც სანაქებოელო.

სხვადასხვა საკავშირო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდები, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია თბილისის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გამარჯვება ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრებაში. სხვა გათამაშებებში ჩვენს გუნდებს უმთავრესად საშუალო მაჩვენებლები ჰქონდათ, რაც არ ჩაითვლება მაინცდამაინც დამაკმაყოფილებელ შედეგად.

გარკვეული საქმიანობა გავწიეთ საკავშირო განათლების სამინისტროსა და საკავშირო სპორტკომიტეტის ერთობლივი დადგენილების შესასრულებლად სპეციალიზებული კლასების გახსნის თაობაზე ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში. თბილისის განათლების განყოფილებისა და „დინამოს“ ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებში გახსნილია პირველში 7, ხოლო მეორეში 1 სპეციალიზებული სპორტული კლასი. თითო ასეთი კლასი გახსნილია ლანჩხუთის „გურიასთან“ და სოხუმის ბავშვთა სპორტსკოლასთან, 2 კლასი კი — ბათუმის „დინამოსთან“.

მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნული დადგენილება არ შეასრულეს სოხუმისა და ზუგდიდის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელებმა.

* * *

ყველაზე მასობრივი ჩვენში არის საქართველოს პირველობა, რომლის პირველ და მეორე ჯგუფებში მონაწილეობდა 56, ხოლო ზონალურ შეჯიბრებაში 20 გუნდი. 9 თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა საქართველოს ჩემპიონატი პირველი ჯგუფის გუნდებისთვის, სადაც გაიმარჯვა გალის „მზიურამა“.

შედარებით კარგად გამოვიდნენ რესპუბლიკური პირველობაზე ჭიათურის „მაღაროელი“, ტყიბულის „მეშახტე“, რუსთავის „მეტალურგი“, თელავის „ნადიკვარი“.

სუსტად ჩაატარეს სეზონი და დატოვეს პირველი ჯგუფი გორის რაიონის „ქართლმა“, წულუკიძის „იმერეთმა“ და თბილისის „განთიადმა“. მათ ნაცვლად მომავალ სეზონში გამოვლენ მეორე ჯგუფში გამარჯვებულები — ქარელის „იბერია“ და თერჯოლის „ენერგეტიკოსი“, აგრეთვე, საკავშირო პირველობიდან გამოთიშული თბილისის „სპარტაკი“.

სავალალო მდგომარეობაა რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდებში დისციპლინის დარღვევის მხრივ. პირველ და მეორე ჯგუფებში მონაწილე 56 კოლექტივიდან 53-ს აქვს გაფრთხილებებისა და გაძევებათა ისეთი რაოდენობა, რომ მათი ჩამოთვლა სხვა რომ არა, უხერხულია. ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ ადგილებზე გუნდებთან არ ტარდება აღმზრდელობითი მუშაობა, რაც ადგილობრივი კომკავშირული დ სპორტული ორგანიზაციებისთვის საგანგაშო სიგნალი უნდა იყოს.

აქვე უნდა ითქვას არაკვალიფიციური მსაჯობის შესახებაც. ესეც, რა თქმა უნდა, პირდაპირ კავშირშია მოთამაშეთა მხრივ დისციპლინის დარღვევის არასასურველ ფაქტებთან. ამ გარემოებას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მსაჯთა რესპუბლიკურმა კოლეგიამ, ფეხბურთის ფედერაციამ და სამმართველომ.

საქართველოში ფეხბურთი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს. პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიდ ყურადღებას და მხარდაჭერას თვალსაჩინოდ უნდა უფრთხილდებოდეს ყველა, ვინც დაკავშირებულია ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებასთან. ქართული ფეხბურთი უნდა იყოს ლამაზი, შინაარსიანი, მაღალტექნიკური, შეტევითი და შედეგიანი. იმედია, ჩვენი მწვრთნელები, სპორტული მუშაკები კომკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერით, პარტიული, საბჭოთა სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ ქართული ფეხბურთის აღმავლობისათვის მის ყველა უბანზე — ბავშვებში, ჭაბუკებში, მოზრდილებში და, ბოლოს, ოსტატთა გუნდებშიც.

ჭადრაკი

ნანა იოსელიანი ლიდერთა შორის

კიკინდაში (იუგოსლავია) რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ევროპის პირველობა გოგონათა შორის. სარბიელზეა 17 მოჭადრაკე, მათ შორის საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი, თბილისელი ოსტატი ნ. იოსელიანი.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ რუმინელი ე. ილიე (3 ქულა) და ნ. იოსელიანი (2,5).

დორფმანის უპირატესობით

გუშინწინ მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის ბ. გულკო (მოსკოვი) — ი. დორფმანის (ლვოვი) დამატებითი მატჩის IV პარტია.

ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო დორფმანის უპირატესობით. მას ხედმეტი პაიკი აქვს.

ჯერჯერობით შეხვედრის ანგარიშია 2:1 გულკოს სასარგებლოდ.

კარგი სტარტი

რიაზანში სტარტი აიღო სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალმა. 48 მოჭადრაკე იბრძვის შვეიცარიული სისტემის ტურნირში (11 ტური) ფინალის საგზურებისთვის.

შესანიშნავად დაიწყო შეჯიბრება სსრ კავშირის ჩემპიონმა სოფლის ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის 13 წლის გ. თორიამ (ზუგდიდი). 3 ტურის შემდეგ მას 3 ქულა აქვს.

კოოპერატორთა სპარტაკიადაზე

მეორე წელია სამომხმარებლო კოოპერაციის წარმოება-დაწესებულებებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივი სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლის მიზნით ცეკავშირის გამგეობა რეგულარულად ატარებს სპარტაკიადებს.

ამას წინათ მოეწყო ქუთაისის ტერიტორიაზე არსებული ცეკავშირის ორგანიზაციების საქალაქო სპარტაკიადა სპორტის ექვს სახეობაში. პირველობას ეცილებოდნენ კოოპერატიული ტექნიკუმის, ტრესტ საქკოოპშენის მე-4 საამშენებლო სამმართველოს, ცეკავშირის სავაჭრო ბაზისა და მაცივრების სარემონტო უბნის ფიზკულტურული კოლექტივები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ტექნიკუმელებმა იმარჯვეს. მათ თავი ისახელეს ტყვიის სროლაში, ფრენბურთსა და შაშში, მეორე იყო ტრესტის საქკოოპშენის მე-4 საამშენებლო სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივი, III ადგილზე გავიდა ცეკავშირის სავაჭრო ბაზა.

ამ სპორტულ ღონისძიებას თავი აარიდეს ცეკავშირის სასურსათო კომბინატისა და კოოპავშრობის ფიზკულტურელებმა.

ლ. ადეიშვილი,
„კოლმეურნის“ ქუთაისის საქალაქო სახბჭოს თავმჯდომარე.

თხილამურები

კიცბიულის მუხანათ ტრასაზე

მიძღვნილია მსოფლიო თასების გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. ამ ასპარეზობამ განსაკუთრებით დაძაბულობას მიაღწია, რადგან მალე გარმიშ-პარტენკირჩენში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი.

მსოფლიო თასების მორიგი სტარტები ავსტრიაში გაიმართა. ქალები ბადაშტეინის მიდამოებში სპეციალურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველ ცდაზე იმარჯვა ფრანგმა პ. პელენინმ — 38,34. მას ოდნავ ჩამორჩნენ ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) და კ. კუშერი (აშშ). ამ სახეობაში თასის შარშანდელი მფლობელი ლ.-მ. მორერო (შვეიცარია) IV ადგილს დასჯერდა, მაგრამ მეორე ცდაზე მან თავბრუდამხვევი სისწრაფე განავითარა და არა მარტო ცდა მოიგო, არამედ ორი დაშვების ჯამშიც იმარჯვა — 1.15,92. მან ვენცელს 0,14 წამით აჯობა. პელენი III ადგილზე გავიდა — 1.16,38.

ვატები კიცბიულში ცდიდნენ ძალას. პროგრამაში იყო სწრაფდაშვება. იქაური ტრასა მსოფლიოში ერთ-ერთი ურთულესია. ამასთან მცირე თოვლის გამო სასპარეზო ალაგ-ალაგ გაყინეს. ნებისმიერ მონაკვეთშიც კი საშუალო სისწრაფე 110 კილომეტრს აღწევდა. ალბათ ამის გამო იყო, რომ პირველივე დღეს ფინნშამდე ბევრმა ვერ მიაღწია. აღიარებული ფავორიტი, ოლიმპიური ჩემპიონი ფ. კლამერი IV ადგილს დასჯერდა — 2.07,6. მას აჯობეს თანამემამულე ი. ვალჰერმა (ავსტრია) — 2.06,9, ჯ. ვესტიმ (შვეიცარია) — 2.07,06 და მ. ანტონიოლიმ (იტალია) — 2. 07,23.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო გახლდათ ვ. მაკეევი — 2.10,6 (28-ე ადგილი). მან 15 აღიარებული მოთხილამურე ჩამოიტოვა და მოიპოვა ორჭიდში თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება, რაც კიდევ უფრო განამტკიცა მეორე დღეს, იქვე, ამჯერად 3510-მეტრიან ტრასაზე კარგი ასპარეზობით — 2.13,85 (ჯ. ანდრეევმა 2.15,04 აჩვენა).

მეორე ტრასაზე ზ. ფერსტლმა (გფრ) და ი. ვალჰერმა ზუსტად ერთნაირი შედეგი — 2. 07,81 აჩვენეს, რაც იშვიათი შემთხვევაა.

მერე ჩატარდა შეჯიბრება სლალომში. აქ იმარჯვა კ. ჰაიდეგერმა (ავსტრია) — 1.43,99. ანდრეევი და მაკეევი მე-20 და 24-ე ადგილებზე გავიდნენ, რამაც მათ საშუალება მისცა ორჭიდის ლიდერებში დამკვიდრებულიყვნენ. მაკეევი ფრანგ პ. პელა-ფინთან 0,01 წამს აგებს და II ადგილზეა, ხოლო ანდრეევი ჯამში IV ადგილზე. ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებს საშუალება ეძლევათ ბრძოლა გააგრძელონ.

შვედი ი. სტენმარკი, რომელიც თასის წლევანდელ გათამაშებას 150 ქულით ლიდერობს, თავისი მრავალწლიანი ასპარეზობის მანძილზე პირველად გამოეთიშა სპეციალობაში ასპარეზობას.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქალთა მორიგი სტარტი (სპეციალური სლალომი) მარიბორში (იუგოსლავია) გაიმართა, აქაც ჰ. ვენცელმა იმარჯვა. მას 134 ქულა აქვს, ა. მოზერ-პრიოლს — 109 ქულა. ასეთივე მარაგით III ადგილზეა ლ.-მ. მორერო.

გასული წლის ლაურეატები



16 წლის ტანმოვარჯიშე მაშა ფილატოვა ციმბირის ქალაქ ლენინსკ-კუზნეცკის მკვიდრია. მიუხედავად მცირე ასაკისა, მას ბევრი საპატიო ტიტული აქვს მოპოვებული. ფილატოვა ქვეყნის ჩემპიონი, მონრეალში გუნდური წარმატებისთვის ოლიმპიური მედლის მფლობელი და მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვებულია.



მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონმა ჯგუფური რბოლაში, ტარტუელმა აავო პაკუუსმა ორმაგ წარმატებას მიაღწია მშვიდობის ველორბოლაში. მან ჯგუფური წარმატებისთვის მეგობრებთან ერთად ოქროს მედალი მოიგო და უველა ეტაპის ჯამის მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა ინდივიდუალურ რბოლაში.

საკდესის ფოტო.

ჭიდაობა

ერევანში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალ მოჭიდავეთა შეხვედრა. დიდი ანგარიშით 9:1 გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. სანრიანმა — რ. სალამონთან, ჯ. ზეინსმა — ჰ. აზარიანთან (ეს იყო ამერიკელთა ერთადერთი წარმატება), გ. ბაღდასარიანმა — ჯ. კორსოსთან, ჰ. ნერსესიანმა — ს. ბარეტთან, პ. პინიგინმა — ჭ. ხორსევლთან, პ. მარტამ — ჩ. იაგლთან, ს. ოჰანესიანმა — ფ. ჰიჩკოკთან. 14 წამი დასჭირდა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ლ. თედიაშვილს, რომ ბეჭებით გაეკრა ხალიჩაზე ტ. ბერნსი. კიდევ ორი ქულა საბჭოთა გუნდს მოუტანეს ა. მუსიენკომ და ვ. პარშუკოვმა.

კალათბურთი

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო, მეხუთე მატჩი გამართა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა. მან ქალაქ სპრინგფილდში სძლია კონეკტიკუტის შტატის უნივერსიტეტის კალათბურთელებს — 97:70. ყველაზე შედეგიანი საბჭოთა გუნდში იყო სალნიკოვი, რომელმაც 16 ქულა შესძინა. 14-14 ქულაა ერიომინისა და ტკაჩენკოს ანგარიშზე. ამერიკელთაგან თავი გამოიჩინა ბროშტისმა — 26 ქულა. ამრიგად, საბჭოთა გუნდმა ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოიგო. ა. გომელსკი კომენტარს უკეთებს საბჭოთა გუნდის გამოსვლას ამერიკის შეერთებულ შტატებში და აღნიშნავს, რომ კარგად ითამაშეს იოვაიშამ, პოპკოვმა და ერიომინმა. უნარიანად მოქმედებდა გამოცდილი სალნიკოვი. მნიშვნელოვნად აიმაღლეს ოსტატობა ტკაჩენკომ და მიშენმა, ხოლო რაც შეეხება ისეთ ახალგაზრდა მოთამაშეებს, როგორიც დერიუგინი, ბელოსტენი, ტარაკანოვი და ლოპატოვია, მათ კიდევ ბევრი შრომა მოუწევთ ოსტატობის ასამაღლებლად.

რობმერტო — სნაიპერი

„კოკაკაბანას შვილი“ — ასე შეიძლება ეწოდოს გამოჩენილ ბრაზილიელ სნაიპერს რობერტოს, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი გახლავთ კარლოს რობერტო დე ოლივეირო. იგი ბრაზილიელთა დიდი იმედია მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში.

რობერტო 23 წლისაა. ისევე, როგორც მრავალმა როდეზიანეიროელმა ფეხბურთელმა თამაში ისწავლა კოპაკაბანას თვალუწვდენელ პლაჟზე, სადაც ათენებდა და აღამებდა. როდესაც შემდეგ ჭაბუკი რობერტო რიო-დე-ჟანეიროს პოპულარულ კლუბ „ვასკო და გამაში“ მივიდა, მწვრთნელებს ბევრი არც უფიქრიათ, ისე ჩარიცხეს იუნიორთა გუნდში. იმ დროს რობერტო 14 წლისა იყო. მას შემდეგ გავიდა 6 წელი და ახალგაზრდა თავდამსხმელმა კლუბის № 1 მოთამაშის რეპუტაცია მოიპოვა. მას ბრაზილიის უველა გუნდის მწვრთნელები უწევდნენ ანგარიშს, ნაკრების მესვეურებმაც მიაქციეს ყურადღება. მალე რობერტო უკვე ბრაზილიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი იყო.

ბოლო წლებში ცხადი გახდა, რომ რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატში „ვასკო და გამას“ ცენტრალურ თავდამსხმელს ერთი სერიოზული მეტოქე ჰყავს — ზიკო. 1975 წელს რობერტომ გაუსწორა ზიკოს და პირველი სნაიპერი გახდა, 1976 წელს პირველი იყო ზიკო, 1977 წელს ისევ რობერტომ გაიმარჯვა.

თვით რობერტო ამბობს, რომ ბევრს აკვირდებოდა გამოჩენილ ბომბარდირებს, სწავლობდა მათგან და განსაკუთრებით მოსწონს გ. მიულერის უტყუარი ინტუიცია, როდესაც იგი თითქოს არაფრიდან ახერხებს გოლის გატანას. რობერტომ სულ რამდენიმე მატჩი იფათურა „ვასკო და გამაში“ ტოსტაოს მხარდამხარ. „რამდენ რამეს ვისწავლიდი, მასთან ერთი ან ორი სეზონი რომ მეთამაშა!“. მაგრამ, როგორც ცნობილია, ტოსტაომ მალე მიატოვა თამაში ავადმყოფობის გამო.

ნაკრების მწვრთნელი კუტინიო დიდ იმედებს ამყარებს რობერტოზე. მომომხილველები მას ადარებენ ვავას, რომელიც ბრწყინავდა 1958 და 1962 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებში. ის, რაც ვავა იყო შვეიცარიაში, რობერტო უნდა იყოს არგენტინაში — ასეთია ბრაზილიელი გულშემატკივრების ვარაუდი.

გ. თორელი.

ფეხბურთი

ნება არ დართეს

გფრ-ის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ბეკენბაუერმა, რომელიც ახლა ამერიკული ფეხბურთის არდადეგების გამო მიუნხენში იმყოფება, მოინდომა ბუნდესლიგის 6 კალენდარულ მატჩში მონაწილეობის მიღება თავისივე ქალაქის გუნდის „მიუნხენ 1860“-ის შემადგენლობაში. ეს გუნდი ახლა ბუნდესლიგის აუტსაიდერია და ამდენად ბეკენბაუერის წინადადებას სიამოვნებით გამოეხმაურა.

მაგრამ გფრ-ის საფეხბურთო კავშირმა ბეკენბაუერს არ დართო ასეთი ხანმოკლე „გასტროლების“ უფლება.

რეგბი

თ. ბენდიაშვილი — რესპუბლიკაში № 1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტთამაშების განყოფილების, ლელო-რეგბის რესპუბლიკური ფედერაციამ, სპორტულმა ჟურნალისტებმა, მწვრთნელებმა და მკითხველებმა გასული წლის შედეგების მიხედვით შეადგინეს რესპუბლიკის 15 საუკეთესო რეგბისტის სია: **თ. ვლადმსხმელები** — შ. ხარშილაძე, რ. სანებლიძე, გ. ურუშაძე, მ. ჭკადუა, რ. ბერძე, ა. გიბრაძე, ჟ. შავდია, ი. კაკულია, თ. ბენდიაშვილი. **ნახევრმცველები** — დ. კილასონია, ფ. გაბაძე. **სამეოთხედელები** — თ. სახლოხუცოშვილი, გ. ავლესტიძოვი, ა. აბაშიძე, ო. ლიპარტელიანი. **ჩამკეტი** — ა. გიორგაძე.

ფაქტიურად ასეთია საქართველოს ნაკრების შემადგენლობა. საკუთარ საუკეთესოთა შორის უველაზე მეტი (10) რეგბისტით წარმოდგენილია „ლოკომოტივი“, ოთხი სპორტსმენი „ელვადანაა“, ერთიც — ქუთაისის „სახლმშენიდან“.

დასახელებულია, აგრეთვე, სხვა რთველოს № 1 რეგბისტი. უველაზე მეტი ქულა მოაგროვა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა-მოთამაშემ თ. ბენდიაშვილმა. მას თითქმის ქულით ჩამორჩნენ თანაკლუბელები დ. კილასონია და ა. გიორგაძე.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეჯამა სამეგრელოს „შაბათის სპორტლოტოს“ მეორიგი, მესამე ტირაჟებისა, რომლებიც მოსკოვში 21 იანვარს მოხდება.

პირველი: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 330, სამისთვის — 10.

მეორე: ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება, აგრეთვე, 5000 მანეთია, ოთხისთვის — 425, სამისთვის — 9.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მეოთხე ტირაჟი.

„სპორტლოტო“: 9, 11, 24, 30, 43. შეღავათიანი ბურთული — 4.

„სპორტლოტო-2“: 7, 15, 16, 36, 46. შეღავათიანი ბურთული — 4.

რედაქტორი
ა. გასილაია.

თბილისის სპორტულ გვიანდელი

თავისუფალი სტილის ჭი-
დაობა. სპორტის სასახლეში
თბილისის XVII საერთაშორისო
ტურნირი. 27, 28, 29 იანვა-
რი. დასაწყისი 27 იანვარს დი-
ლით 12 ს. საღამოს 18 ს.
და 29 იანვარს დილით 11 ს.
საღამოს 18 ს.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380018 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-5
მახობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო
93 97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მეშინჯინეები — 93-97-51.